მაია ყოჩიაშვილი

University of Alcala, Spain

კავკასიის ეკონომიკის სკოლა

,,Erasmus+ ის პროგრამით საზღვარგარეთ წასვლა სტუდენტური ცხოვრების საუკეთესო ნაწილად მიმაჩნია. უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე მიზნად დავისახე, ერთი სემესტრით ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში წავსულიყავი სასწავლებლად. ალკალას უნივერსიტეტი ამ მიზნის მიღწევაში დამეხმარა. იმის გარდა, რომ ინგლისური ენის დონე ავიმაღლე, ცხოვრებისეული გამოცდილებაც მივიღე.

5 თვის განმავლობაში სხვა ქვეყანაში ყოფნის შედეგად ხდები უფრო დამოუკიდებელი და იწყებ უფრო სხარტად აზროვნებას, თავად გიწევს გამოსავლის ძიება რთული სიტუაციებიდან. ეცნობი ახალ კულტურას, იძენ მეგობრებს. ყველაფერთან ერთად უკან ბრუნდები მეტად თავდაჯერებული, იგროვებ უამრავ ბედნიერ მოგონებას, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაგყვება. გაცვლითი პროგრამა გეხმარება როგორც კარიერულ წინსვლაში, ასევე პიროვნულ განვითარებაში.''